



ტესტი მათემატიკაში

2015

ინსტრუქცია

ტესტი 36 ამოცანისაგან შედგება. თითოეული ამოცანის რიგითი ნომრის გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა, რომელსაც ამ ამოცანის სწორად ამოხსნის შემთხვევაში დაიმსახურებთ.

პირველიდან ოცდამეთორმეტე ამოცანის ჩათვლით ყოველი ამოცანის პირობას თან ახლავს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. ეს ამოცანები ფასდება 1 ან 0 ქულით.

თქვენ დაგირიგდათ ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი. ტესტურ დავალებათა რვეულში მოცემულია ამოცანათა პირობები და დატოვებულია თავისუფალი ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. **გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მონშდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.**

სწორი პასუხები და ამოხსნები უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში. პირველიდან ოცდამეთორმეტე ამოცანის ჩათვლით სწორი პასუხები უნდა მონიშნოთ პასუხების ფურცელში ისე, როგორც ეს პირველი ამოცანისათვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გექვსთ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა ისე, როგორც ეს მესამე ამოცანისათვის არის ნაჩვენები და შემდეგ მონიშნოთ ამ ამოცანის სწორი პასუხის თქვენთვის სასურველი ვარიანტი.

	1	2	3	4	5
ა	☐	☐	☐	☐	☐
ბ	☐	☐	☒	☐	☐
გ	☒	☐	☐	☐	☐
დ	☐	☐	☒	☐	☐

პასუხების ფურცელზე ეს ნაწილი აუცილებლად უნდა შეაგსოთ იმ კალმით, რომელიც თქვენ გამოცდაზე მოგცეს.

ოცდამეცამეტე ამოცანიდან ოცდამეთექვსმეტე ამოცანის ჩათვლით ყოველი მათგანის პასუხი უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში **ზუსტად ამ ამოცანებისათვის განკუთვნილ ადგილზე. პასუხი უნდა ჩაწეროთ მკაფიოდ და ნათლად, მოსაწავლისათვის გასაგებ ენაზე.**

მიაქციეთ ყურადღება, რომ ნახაზები, რომლებიც ახლავს ზოგიერთ ამოცანას, არაა შესრულებული ამოცანის პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ ამოცანის პირობაზე.

ტესტის შესასრულებლად გექვსთ 5 საათი

გისურვებთ წარმატებას !

ამოცანა 1**1 ქულა**

რიცხვები: $8^{-\frac{2}{3}}$, $\sqrt[4]{3}$ და $\frac{3}{16}$ დაალაგეთ კლებადობით.

ა) $8^{-\frac{2}{3}}$, $\sqrt[4]{3}$, $\frac{3}{16}$;

ბ) $\frac{3}{16}$, $\sqrt[4]{3}$, $8^{-\frac{2}{3}}$;

გ) $\sqrt[4]{3}$, $8^{-\frac{2}{3}}$, $\frac{3}{16}$;

დ) $\sqrt[4]{3}$, $\frac{3}{16}$, $8^{-\frac{2}{3}}$.

ამოცანა 2**1 ქულა**

მოცემულია ორი მართკუთხედი. პირველი მართკუთხედის სიგრძე 80%-ით მეტია მეორე მართკუთხედის სიგრძეზე, ხოლო მეორე მართკუთხედის სიგანე 20%-ით მეტია პირველი მართკუთხედის სიგანეზე. რამდენი პროცენტით მეტია პირველი მართკუთხედის ფართობი მეორე მართკუთხედის ფართობზე?

ა) 30%-ით

ბ) 40%-ით

გ) 50%-ით

დ) 60%-ით

ამოცანა 3**1 ქულა**

a ისეთი მთელი რიცხვია, რომ $a^2 \cdot (2 - a) = 3$. რას უდრის $a^3 + 27$?

ა) 0

ბ) 19


გ) 28

დ) 26

ამოცანა 4

1 ქულა

უჯრედებთან ფურცელზე, რომლის თითოეული უჯრა 1 ერთეულის ტოლი გვერდის მქონე კვადრატს წარმოადგენს, დახაზულია $ABCDEF$ ექვსკუთხედი. ექვსკუთხედის წვეროები უჯრების წვეროებში მდებარეობს (იხ. სურათი). სურათზე დაყრდნობით იპოვეთ $ABCDEF$ ექვსკუთხედის პერიმეტრი.



ა) $7 + \sqrt{8} + \sqrt{13}$

ბ) $7 + \sqrt{2} + \sqrt{13}$

გ) 18

დ) $11 + \sqrt{13}$

ამოცანა 5

1 ქულა

ორნიშნა რიცხვი 11-ზე იყოფა. თუ ამ რიცხვის ციფრებს შორის 2015-ს ჩავწერთ, მაშინ მიღებული ექვსნიშნა რიცხვი 9-ზე გაიყოფა. რას უდრის მიღებული ექვსნიშნა რიცხვის ციფრების ჯამი?

ა) 18

ბ) 12

გ) 9

დ) 24

ამოცანა 6

1 ქულა

იპოვეთ $\frac{x+1}{1-x} > 2$ უტოლობის ამონახსნთა სიმრავლე.

ა) $\left(\frac{1}{3}; 1\right)$

ბ) $\left(\frac{1}{3}; +\infty\right)$

გ) $\left(\frac{1}{3}; 1\right) \cup (1; +\infty)$

დ) $(-1; 1)$

ამოცანა 7**1 ქულა**

a და b მთელი რიცხვები აკმაყოფილებენ პირობას $-4 < a < b < 8$. იპოვეთ $\frac{b}{a^2}$ წილადის უმცირესი შესაძლო მნიშვნელობა.

- ა) -3 ბ) $-\frac{2}{9}$ გ) $-\frac{1}{4}$ დ) $\frac{1}{9}$

ამოცანა 8**1 ქულა**

იპოვეთ მონაცემების: 1; 1; 1; 1; 1, საშუალო კვადრატული გადახრა.

- ა) 0 ბ) 1 გ) 5 დ) 25

ამოცანა 9**1 ქულა**

პირველი წრეწირის 60° -იანი რკალის სიგრძე მეორე წრეწირის 45° -იანი რკალის სიგრძის ტოლია. იპოვეთ პირველი წრეწირით შემოსაზღვრული წრის ფართობის შეფარდება მეორე წრეწირით შემოსაზღვრულ წრის ფართობთან.

- ა) $\frac{3}{4}$ ბ) $\frac{9}{16}$ გ) $\frac{4}{3}$ დ) 2

თუ $\angle ABC$ და $\angle A_1B_1C_1$ ერთ სიბრტყეში მდებარე 180° -ზე ნაკლები სიდიდის კუთხეებია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილი გამონათქვამებიდან

- I) თუ $BA \parallel B_1A_1$ და $BC \parallel B_1C_1$ მაშინ აუცილებლად $\angle ABC = \angle A_1B_1C_1$.
- II) თუ $BA \perp B_1A_1$ და $BC \perp B_1C_1$ მაშინ აუცილებლად $\angle ABC = \angle A_1B_1C_1$.
- III) თუ $BA \parallel B_1A_1$ და $BC \perp B_1C_1$ მაშინ აუცილებლად $\angle ABC + \angle A_1B_1C_1 = 180^\circ$.

ა) ჭეშმარიტია მხოლოდ I ;

ბ) ჭეშმარიტია მხოლოდ II;

გ) ჭეშმარიტია მხოლოდ III;

დ) I, II და III გამონათქვამებიდან არცერთი არ არის ჭეშმარიტი.

ქვემოთ ჩამოთვლილი განტოლებებიდან რომელი წარმოადგენს Oxy მართკუთხა საკოორდინატო სიბრტყეზე იმ წრეწირის განტოლებას, რომლის რადიუსია 2, ხოლო ცენტრის კოორდინატებია $(1; -2)$?

- ა) $x^2 + y^2 - 2x + 4y + 1 = 0$;
- ბ) $2(x^2 + y^2) - 2(x - 2y) + 9 = 0$;
- გ) $2x^2 + 2y^2 = 5$;
- დ) $x^2 + y^2 + 2x - 4y + 1 = 0$.

ამოცანა 12**1 ქულა**

ფარენჰაიტის სკალიდან ($^{\circ}F$) ცელსიუსის სკალაზე ($^{\circ}C$) სიდიდის გადასაყვანად გამოიყენება ფორმულა: $a^{\circ}F = \frac{5}{9}(a - 32)^{\circ}C$ (მაგ. $5^{\circ}F = -15^{\circ}C$). განსაზღვრეთ წყლის დუდილის ტემპერატურა ფარენჰაიტის სკალაზე, თუ წყლის დუდილის ტემპერატურაა $100^{\circ}C$.

ა) $192^{\circ}F$

ბ) $100^{\circ}F$

გ) $132^{\circ}F$

დ) $212^{\circ}F$

ამოცანა 13**1 ქულა**

მას შემდეგ, რაც წყლისა და სპირტის ნარევის დაუმატეს 70გ სპირტი, სპირტის შემცველობა ნარევი 20%-დან 40%-მდე გაიზარდა. რამდენ გრამ სპირტს შეიცავს მიღებული ნარევი?

ა) 180გ

ბ) 210გ

გ) 240გ

დ) 112 გ

ამოცანა 14**1 ქულა**

წესიერ ოთხკუთხა პრიზმაში გვერდითი ზედაპირის ფართობია 34, ხოლო სრული ზედაპირის ფართობია 42 . იპოვეთ პრიზმის სიმაღლე.

ა) $\frac{34}{\sqrt{8}}$

ბ) $\frac{17}{4}$


გ) $\frac{17}{2}$

დ) $\frac{34}{42}$

ამოცანა 15

1 ქულა

კვადრატში ჩახაზულია $ABCD$ მართკუთხედი ისე, რომ მისი A , B , C და D წვეროები კვადრატის გვერდებზე მდებარეობენ, ხოლო წვეროებთან მდებარე გამუქებული სამკუთხედები ტოლფერდაა (იხ. სურათი). იპოვეთ $ABCD$ მართკუთხედის დიაგონალის სიგრძე, თუ კვადრატის გამუქებული ნაწილის ფართობია a სმ².



ა) $\sqrt{2a}$ სმ

ბ) $2\sqrt{a}$ სმ

გ) $\frac{\sqrt{3a}}{2}$ სმ

დ) $\frac{\sqrt{3a}}{4}$ სმ

ამოცანა 16

1 ქულა

გიამ დაამზადა კამათელი შემდეგნაირად: მან კუბის ერთ წახნაგს დააწერა რიცხვი 1, ორ წახნაგს დააწერა რიცხვი 2, ხოლო დარჩენილ სამ წახნაგს - რიცხვი 3. რისი ტოლია იმის ალბათობა, რომ ამ კამათლის ორჯერ გაგორებისას მოსული რიცხვების ჯამი ხუთის ტოლი იქნება?

ა) $\frac{1}{6}$

ბ) $\frac{1}{3}$

გ) $\frac{1}{2}$

დ) $\frac{2}{3}$

რამდენი ამონახსნი აქვს $2\sin\left(\frac{x+3}{2}\right) = \sin x + \sin 3$ განტოლებას $[-2\pi, 2\pi]$ სეგმენტში?

ა) ერთი

ბ) ორი

გ) სამი

დ) ოთხი

გამოცდაზე თითოეული მოსწავლე შეფასდა მთელი ქულით 1-დან 10-ის ჩათვლით. ცნობილია, რომ 19-მა მოსწავლემ მიიღო 5 ქულაზე მეტი, ხოლო 25-მა კი - 10 ქულაზე ნაკლები. რამდენით მეტია იმ მოსწავლეთა რაოდენობა რომელთაც მიიღეს 6 ქულაზე ნაკლები შეფასება, იმ მოსწავლეთა რაოდენობაზე, რომელთაც მიიღეს ზუსტად 10 ქულა?

ა) 4

ბ) 6

გ) 8

დ) 10

D წერტილი წარმოადგენს ABC სამკუთხედის BC გვერდის შუა წერტილს. ქვემოთ ჩამოთვლილი ვექტორული ტოლობებიდან რომელია მცდარი?

ა) $\overrightarrow{AD} = \overrightarrow{AB} + \overrightarrow{BD}$;

ბ) $\overrightarrow{AD} = \overrightarrow{AB} + \overrightarrow{DC}$;

გ) $\overrightarrow{AD} = \frac{1}{2}(\overrightarrow{AB} + \overrightarrow{AC})$;

დ) $\overrightarrow{AD} = \overrightarrow{AB} + \overrightarrow{DB}$.

იპოვეთ $f(x) = \frac{x^2}{x^2 + 1}$ ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე.

ა) $(-\infty; +\infty)$

ბ) $(0; +\infty)$

გ) $[0; 1)$

დ) $[0; 1]$

ამოცანა 21**1 ქულა**

ცნობილია, რომ a -ს გარკვეული მნიშვნელობისთვის $3x^2 + ax - 5 = 0$ განტოლების ერთ-ერთი ამონახსნი მოთავსებულია $\left(\frac{3}{5}; 2\right)$ შუალედში. ქვემოთ ჩამოთვლილი შუალედებიდან რომელში იქნება აუცილებლად მოთავსებული ამ განტოლების მეორე ამონახსნი?

ა) $\left(-\frac{25}{9}; -\frac{5}{6}\right)$

ბ) $\left(-\frac{1}{2}; -\frac{1}{3}\right)$

გ) $\left(1; \frac{6}{5}\right)$

დ) $\left(\frac{1}{3}; \frac{1}{2}\right)$

ამოცანა 22**1 ქულა**

A ფიგურა წარმოადგენს საკოორდინატო სიბრტყეზე ყველა იმ (x, y) წერტილთა სიმრავლეს, რომლებიც აკმაყოფილებენ $|x| + |y| \leq 1$ უტოლობას. იპოვეთ A ფიგურის ფართობი.

ა) 1

ბ) $\sqrt{2}$

გ) 2

დ) $2\sqrt{2}$

ამოცანა 23

1 ქულა

ქვემოთ მოყვანილი ორი ტოლობიდან (სადაც C_n^k და A_n^k შესაბამისად n ელემენტის სიმრავლის k ელემენტის ჯუფთებათა და წყობათა რიცხვს აღნიშნავს):

I) $C_n^{k-1} + C_n^k = C_{n+1}^k, \quad 1 \leq k \leq n;$

II) $A_{n-1}^k + kA_{n-1}^{k-1} = A_n^k, \quad 1 \leq k \leq n-1;$

რომელია ჭეშმარიტი?

- ა) მხოლოდ I;
- ბ) მხოლოდ II;
- გ) ორივე;
- დ) არცერთი.

ამოცანა 24

1 ქულა

$$\left(\cos \frac{\pi}{3} + i \sin \frac{\pi}{3} \right)^{12} =$$

ა) $\frac{1}{2} + \frac{\sqrt{3}}{2}i$

ბ) 1

გ) $-\frac{1}{2} - \frac{\sqrt{3}}{2}i$

დ) $1-i$

ამოცანა 25

1 ქულა

$f: \mathbb{R} \rightarrow \mathbb{R}$ არის პერიოდული კენტი ფუნქცია, რომლის უმცირესი დადებითი პერიოდია 4. იპოვეთ $f(7)$, თუ $f(1) = 2$.

ა) -9

ბ) -2

გ) 6

დ) 16

ამოცანა 26**1 ქულა**

მართი კუთხეების რა უდიდესი რაოდენობა შეიძლება ჰქონდეს ამოზნექილ რვაკუთხედს?

ა) 2

ბ) 3

გ) 4

დ) 5

ამოცანა 27**1 ქულა**

იპოვეთ $\lim_{n \rightarrow \infty} D_n$, სადაც D_n წარმოადგენს R რადიუსიან წრეში ჩახაზული წესიერი n -კუთხედის ფართობის შეფარდებას მის პერიმეტრთან.

ა) $2R$ ბ) 2π გ) π დ) $\frac{R}{2}$

ამოცანა 28**1 ქულა**

Oxy საკოორდინატო სიბრტყეზე მოცემულია პარაბოლა, რომლის განტოლებაა $y = 2x^2 - x + 3$. ეს პარაბოლა $\vec{P}(-3; 5)$ ვექტორით განსაზღვრულ პარალელურ გადატანას გადაყავს წირში, რომლის განტოლება ამავე საკოორდინატო სისტემაში არის

ა) $y = 2x^2 - 13x + 19$;

ბ) $y = 2x^2 + 11x + 50$;

გ) $y = 2x^2 - 21x + 58$;

დ) $y = 2x^2 + 11x + 23$.

ამოცანა 29**1 ქულა**

რამდენი ისეთი განსხვავებული (ერთმანეთის არაკონგრუენტული) სამკუთხედი არსებობს, რომლის ორი გვერდის სიგრძეებია 4 და 5, ხოლო ერთ-ერთი კუთხე კი 60° -ის ტოლია?

ა) ერთი

ბ) ორი

გ) სამი

დ) ოთხი

ამოცანა 30

1 ქულა

ვთქვათ $f: \mathbb{R} \rightarrow \mathbb{R}$ და $g: \mathbb{R} \rightarrow \mathbb{R}$ ნებისმიერი წარმოებადი ფუნქციებია, ხოლო $F(x) = g(f(x))$. ქვემოთ ჩამოთვლილი ტოლობებიდან რომელია ჭეშმარიტი ნებისმიერი $a \in \mathbb{R}$ რიცხვისთვის?

ა) $F'(a) = g'(a) \cdot f(a) + g(a) \cdot f'(a)$;

ბ) $F'(a) = g'(a) \cdot f'(a)$;

გ) $F'(a) = g'(f'(a))$;

დ) $F'(a) = g'(f(a)) \cdot f'(a)$.

ამოცანა 31

1 ქულა

$$\int_0^{1/2} (2x-1)^{50} dx =$$

ა) 2^{-100}

ბ) $\frac{1}{51}$


გ) $\frac{1}{102}$

დ) $-\frac{1}{51}$

ამოცანა 32

1 ქულა

სურათზე მოცემულია 1სმ^3 მოცულობის მქონე კუბის შლილი. იპოვეთ კუბის იმ წვეროებს შორის მანძილი, რომელთაც შლილზე A და B წერტილები შეესაბამებინ.




ა) 0 სმ

ბ) $\sqrt{3}$ სმ

გ) 1 სმ

დ) $\sqrt{2}$ სმ

D , F და E წერტილები წარმოადგენენ ABC სამკუთხედის AB , BC და AC გვერდების შუაწერტილებს (იხ. სურათი). K წერტილი წარმოადგენს AB გვერდზე დაშვებული CK სიმაღლის ფუძეს. დაამტკიცეთ, რომ $\angle EDF = \angle FKE$.



კლასში მიცემული იყო შემდეგი დავალება:

„მოცემულია b_1, b_2, b_3, b_4, b_5 გეომეტრიული პროგრესია, სადაც $b_1 > 0$. იპოვეთ პროგრესიის მნიშვნელი, თუ b_1, b_2, b_3, b_4, b_5 რიცხვების მედიანა 4-ჯერ ნაკლებია პროგრესიის პირველ წევრზე.“

ერთ-ერთმა მოსწავლემ ეს დავალება შემდეგნაირად ამოხსნა:

„რადგან b_1, b_2, b_3, b_4, b_5 რიცხვების მედიანა არის b_3 , ამიტომ ამოცანის პირობის

თანხმად გვექნება $\frac{b_1}{b_3} = \frac{b_1}{b_1 q^2} = \frac{1}{q^2} = 4$. საიდანაც მივიღებთ $q = \pm \frac{1}{2}$.“


თქვენი დავალებაა:

- 1) მოიყვანოთ რიცხვითი მონაცემების მედიანისა და გეომეტრიული პროგრესიის განსაზღვრებები. (2 ქულა)
- 2) მიუთითოთ, რა შეცდომა/შეცდომები დაუშვა მოსწავლემ ამოხსნაში. ამოხსნათ მოცემული ამოცანა. ამოხსნა წარმოადგინეთ ნათლად, მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე. (5 ქულა)

თქვენ გაკვეთილზე ახსენით თემა „აცდენილი წრფეები“.

გაკვეთილის ბოლოს გადაწყვეტით მოსწავლეებს გაურჩიოთ შემდეგი ამოცანა:

„ $ABCA_1B_1C_1$ მართი პრიზმის ფუძე მართკუთხა სამკუთხედი, რომლის კათეტებია $AC = 3$ და $CB = 4$. პრიზმის სიმაღლე 6 -ის ტოლია. იპოვეთ CA_1 და BC_1 აცდენილ წრფეებს შორის კუთხის სიდიდე“.



თქვენი დავალებაა:

- 1) შეახსენოთ მოსწავლეებს ამოცანის ამოხსნისათვის საჭირო შემდეგი მასალა: აცდენილი წრფეების განმარტება, კუთხე აცდენილ წრფეებს შორის და წრფისა და სიბრტყის პარალელობის ნიშანი. (3 ქულა)
- 2) ააგოთ BC_1 წრფეზე გამავალი სიბრტყე, რომელიც პარალელურია CA_1 წრფის; აღნიშნულ სიბრტყეზე მიუთითოთ კუთხე, რომლის სიდიდე CA_1 და BC_1 აცდენილ წრფეებს შორის კუთხის სიდიდის ტოლია. მსჯელობა აწარმოეთ მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე. (3 ქულა)
- 3) გამოთვალოთ CA_1 და BC_1 აცდენილ წრფეებს შორის კუთხის სიდიდე. (2 ქულა)

თქვენ აპირებთ გაკვეთილზე განიხილოთ თემა “ლუწი და კენტი ფუნქციები”. ამასთან დაკავშირებით შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

1) განმარტეთ, რას ეწოდება ლუწი და კენტი ფუნქცია. ჩამოაყალიბეთ და დაასაბუთეთ ლუწი და კენტი ფუნქციების გრაფიკების სიმეტრიულობის თვისებები. (5 ქულა)

2) კლასს დამოუკიდებელ სამუშაოდ მიცემული ჰქონდა დავალება:

„დაადგინეთ, არის თუ არა ლუწი ან კენტი $f(x) = \frac{(\cos x) \log_2(1-2x+x^2)}{\log_2(1-x)}$ ფუნქცია“.

ეს დავალება ერთ-ერთმა მოსწავლემ შემდეგნაირად შეასრულა: “განვიხილოთ ნებისმიერი x წერტილი ფუნქციის განსაზღვრის არედას. მაშინ,

$$f(x) = \frac{(\cos x) \log_2(1-2x+x^2)}{\log_2(1-x)} = \frac{(\cos x) \log_2(1-x)^2}{\log_2(1-x)} = \frac{2(\cos x) \log_2(1-x)}{\log_2(1-x)} = 2 \cos x$$

$$f(-x) = \frac{(\cos(-x)) \log_2(1+2x+x^2)}{\log_2(1+x)} = \frac{(\cos x) \log_2(1+x)^2}{\log_2(1+x)} = \frac{2(\cos x) \log_2(1+x)}{\log_2(1+x)} = 2 \cos x$$

$$f(-x) = f(x), \text{ ამიტომ } f \text{ ფუნქცია ლუწია.}”$$

ახსენით, რა შეცდომა (შეცდომები) დაუშვა მოსწავლემ ამ ამოცანის ამოხსნისას და წარმოადგინეთ ამოცანის სწორი ამოხსნა. (2 ქულა)

3) ლევანმა გაკვეთილზე იკითხა: „არსებობს თუ არა ფუნქცია, რომელიც ერთდროულად ლუწიც არის და კენტიც?“

დაეხმარეთ ლევანს: მოიყვანეთ ნამდვილ რიცხვთა ღერძზე განსაზღვრული ყველა ასეთი ფუნქცია. პასუხი დაასაბუთეთ. (1 ქულა)

